საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

N 4560/07

4560-07-2-201910091029

09/10/2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა'' ყაზბეგის მუნიციპალიტეტში გეგმავს 110 კვ ეგხ დარიალის რეკონსტრუქციის პროექტში ცვლილების შეტანას, რომელიც ითვალისწინებს ეგხ-ს ,,დარიალი''-ს №41 ანძიდან ააშენოს ეგხ-ს ახალი 1040 მეტრის სიგრძის მონაკვეთი, რომელიც ქვესადგურის მშენებლობის გარეშე დაუკავშირდება 500 კვ ეგხ ,,ქსანი-სტეფანწმინდას'' №246 ანძას.

ეგხ ,,დარიალი''-ს რეკონსტრუქციის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს №2-788 ბრძანების საფუძველზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ვინაიდან, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, 110 კვ ძაბვის (220 კვ გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი"-ს რეკონსტრუქციის პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით სსე-მ უზრუნველყო სკრინინგის ანგარიშის მომზადება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას შესაბამის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;
2. პროექტის GIS კოორდინატები shp ფაილის სახით;
3. დანართი 1 (საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევა).

პატივისცემით,

უჩა უჩანეიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი